

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის,

დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში

სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

თავი I: კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის შექმნა

1. ინსტიტუტში სამეცნიერო თანამდებობის დაკავება ხდება ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. ინსტიტუტის წარდინებით, სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. რექტორის ბრძანებით იქმნება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის კომისია, სამი წევრის შემადგენლობით: ორი წევრი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, ხოლო, მესამე (კომისიის თავმჯდომარე), მოწვეული პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
3. აკადემიურ საბჭოსთან საკონკურსო კომისიის კანდიდატთა შეთანხმების შემდეგ, რექტორი გამოსცემს სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საკონკურსო კომისიის შემადგენლობის თაობაზე.
4. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება უბრალო უმრავლესობა (2). გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით.
5. კომისია, ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით, აჯამებს ქულებს და საბოლოო ციფრული მონაცემით გამოავლენს გამარჯვებულს.

თავი II: კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია

6. კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:
 - I. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
 - II. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;
 - III. სამეცნიერო ხარისხის დამდასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - IV. მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები (CV);
 - V. ერთი ფოტოსურათი (3X4);
 - VI. სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟის დამდასტურებელი დოკუმენტის ასლი ან სათანადოდ დამოწმებული ცნობა;
 - VII. ბოლო 5 წლის მანძილზე, აკრედიტებულ ჟურნალებსა თუ კრებულებში გამოქვეყნებული სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომთა ასლები;

- VIII. შესაბამისი პროფილის მქონე, უკვე გამოცემული წიგნების (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.) სატიტულო გვერდისა და სარჩევის ასლები;
- IX. საქართველოს ან რომელიმე სხვა ქვეყნის (ქვეყნების) აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა ან სათანადო პროფილის მქონე ცენტრსა თუ ორგანიზაციაში, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- X. პროფილური პრემიის, ჯილდოს, სიგელის, გრანტის ან სტიპენდიის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- XI. სამეცნიერო-კვლევით სფეროში იმ აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, რომელიც სათანადო ქულით ფასდება და ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება ჩამოთვლილი.

თავი III: კონკურსში მონაწილეობის პირობები

- 7. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, პირს უნდა ჰქონდეს:
 - I. დოქტორის აკადემიური ხარისხი;
 - II. სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის 6 წლის სტაჟი ან პედაგოგიური მოღვაწეობის 9 წლის სტაჟი (ან საერთო ჯამში 10 წლის სტაჟი);
 - III. მინიმუმ 2 უკვე გამოცემული პროფილური (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.) წიგნი (არანაკლებ 80 პოლიგრაფიულად დასტამბული გვერდების რაოდენობა).
- 8. უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, პირს უნდა ჰქონდეს:
 - I. დოქტორის აკადემიური ხარისხი;
 - II. სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის 3 წლის სტაჟი ან პედაგოგიური მოღვაწეობის 6 წლის სტაჟი (ან საერთო ჯამში 5 წლის სტაჟი);
 - III. მინიმუმ 1 უკვე გამოცემული პროფილური (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.) წიგნი (არანაკლებ 80 პოლიგრაფიულად დასტამბული გვერდების რაოდენობა).
- 9. მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, პირს უნდა ჰქონდეს:
 - I. დოქტორის აკადემიური ხარისხი ან უნდა იყოს დოქტორანტი;
 - II. სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის 1 წლის სტაჟი ან პედაგოგიური მოღვაწეობის 3 წლის სტაჟი. ეს მოთხოვნა არ ეხება დოქტორანტს;

III. დოქტორანტმა, მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში, საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს სათანადო პროფილური მიმართულების 1 პროფესორის ან 2 ასოცირებული პროფესორის წერილობითი შუამდგომლობა-რეკომენდაცია.

10. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

11. კონკურსის ჩატარების თარიღი და დამატებითი პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული წესით, საბუთების მიღების დაწყებამდე 1 თვით ადრე.

თავი IV: საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების კრიტერიუმები (ქულობრივი შეფასება)

12. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი:

I. თითოეულზე 1 ქულა (წარჩინებული - + 1 ქულა);

II. პროფილურზე (თითოეულზე) 3 ქულა (წარჩინებული - +1ქულა).

13. აკადემიური ხარისხი - 3 ქულა.

14. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სტაჟი:

1 წელი - 2 ქულა.

15. პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟი:

1 წელი - 1 ქულა.

16. ბოლო 5 წლის მანძილზე (ათვლა იწყება კონკურსის ჩატარების თარიღიდან), აკრედიტებულ ჟურნალში ან კრებულში გამოქვეყნებული სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომი (რომელსაც თან ახლავს სქოლიო და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი):

1 ნაშრომი - 2 ქულა.

17. პროფილური წიგნი (არანაკლებ 80 პოლიგრაფიულად დასტამბული გვერდების რაოდენობა):

I. სახელმძღვანელო - 1 ცალი - 10 ქულა;

II. დამხმარე სახელმძღვანელო - 1 ცალი - 8 ქულა;

III. მონოგრაფია - 1 ცალი - 9 ქულა;

IV. ბროშურა, ბუკლეტი (მოცულობა 25-დან 79 გვერდამდე) - 1 ცალი - 5 ქულა;

V. პროფილური წიგნის თარგმანი - 4 ქულა.

18. სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა ან სათანადო პროფილის მქონე ცენტრსა თუ ორგანიზაციასთან, სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ურთიერთობა:

1 შემთხვევა - 2 ქულა.

19. პროფილური პრემია:

- I. რუსთაველის - 5 ქულა;
 - II. სახელმწიფო - 4 ქულა;
 - III. სახელობითი - 3 ქულა;
 - IV. ყოველწლიური - 2 ქულა;
 - V. უცხოური - 3 ქულა.
20. ბოლო 5 წლის მანძილზე, მომხსენებლის რანგში სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა:
- I. ადგილობრივი - 1 შემთხვევა - 2 ქულა;
 - II. საერთაშორისო - 1 შემთხვევა - 3 ქულა.
21. ბოლო 5 წლის მანძილზე, სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება-ჩატარებაში მონაწილეობის მიღება:
- I. ორგანიზება - ხელმძღვანელობა - ადგილობრივი, 1 შემთხვევა - 3 ქულა;
 - II. ორგანიზება - ხელმძღვანელობა - საერთაშორისო, 1 შემთხვევა - 4 ქულა;
 - III. საორგანიზაციო ჯგუფის წევრობა - ადგილობრივი, 1 შემთხვევა - 2 ქულა;
 - IV. საორგანიზაციო ჯგუფის წევრობა - საერთაშორისო, 1 შემთხვევა - 3 ქულა.
22. სასწავლო პროგრამის შემუშავება:
- I. დამოუკიდებლად - 1 შემთხვევა - 3 ქულა;
 - II. ჯგუფის წევრობა ან თანაავტორობა - 1 შემთხვევა - 2 ქულა.
23. სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალის ან კრებულის რედაქციასთან თანამშრომლობა:
- I. რედაქტორობა - 3 ქულა;
 - II. სარედაქციო საბჭოს ან კოლეგიის წევრობა - 2 ქულა.
24. წიგნის რედაქტორობა, რეცენზენტობა, კონსულტანტობა:
- I. სახელმძღვანელო (რედაქტორი) - 5 ქულა;
 - II. სახელმძღვანელო (კონსულტანტი) - 4 ქულა;
 - III. სახელმძღვანელო (რეცენზენტი) - 3 ქულა;
 - IV. დამხმარე სახელმძღვანელო (რედაქტორი) - 3 ქულა;
 - V. დამხმარე სახელმძღვანელო (კონსულტანტი) - 2 ქულა;
 - VI. დამხმარე სახელმძღვანელო (რეცენზენტი) - 1 ქულა;
 - VII. მონოგრაფია (რედაქტორი) - 4 ქულა;
 - VIII. მონოგრაფია (კონსულტანტი) - 3 ქულა;
 - IX. მონოგრაფია (რეცენზენტი) - 2 ქულა;
 - X. პროფილური წიგნის თარგმანი (რედაქტორი) - 3 ქულა.
25. პროფილური სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის, ცენტრის ან საბჭოს წევრობა: თითოეული შემთხვევა - 2 ქულა.
26. საკვალიფიკაციო ნაშრომებთან დაკავშირებით:
- I. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა - თითოეულზე - 5 ქულა;
 - II. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა - თითოეულზე - 4 ქულა;
 - III. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა - თითოეულზე - 3 ქულა;
 - IV. სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტობა - თითოეულზე - 3 ქულა;

- V. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტობა - თითოეულზე - 2 ქულა;
 - VI. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტობა - თითოეულზე - 1 ქულა;
 - VII. სადოქტორო ნაშრომის ექსპერტობა - თითოეულზე - 2 ქულა.
27. სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტობა:
თითოეულზე - 1 ქულა.
28. სამეცნიერო კონფერენციაზე სტუდენტის ნაშრომის ხელმძღვანელობა:
I. თითოეულზე (ადგილობრივი) – 1 ქულა;
II. თითოეულზე (საერთაშორისო) – 2 ქულა.
29. სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისათვის გრანტის, სტიპენდიის მოპოვება:
I. ადგილობრივი გრანტი (თითოეულზე) – 3 ქულა;
II. უცხოური გრანტი (თითოეულზე) – 4 ქულა;
III. ადგილობრივი სტიპენდია (თითოეულზე) – 2 ქულა;
IV. უცხოური სტიპენდია (თითოეულზე) – 3 ქულა.
30. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობა:
1 ვადა - 5 ქულა.
31. ინსტიტუტის დარგობრივი სექციის თავმჯდომარეობა:
1 ვადა - 3 ქულა.
32. ინსტიტუტის დარგობრივი სექციის სხდომის მდივნობა:
1 ვადა - 2 ქულა;
33. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის მდივნობა:
1 ვადა - 3 ქულა.

თავი V: შეფასების ზღვრული ქულა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების ვადები

34. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსანტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 60 ქულა.
35. უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსანტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 40 ქულა.
36. მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსანტმა (თუ ის დოქტორია) უნდა დააგროვოს მინიმუმ 20 ქულა; დოქტორანტი ზღვრული მინიმალური ქულისაგან თავისუფალია.
37. მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სამეცნიერო თანამდებობას იკავებს 5 წლის ვადით; უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 4 წლის ვადით; მეცნიერ-თანამშრომელი - 3 წლის ვადით.
38. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების ვადის გასვლის შემდეგ:
I. მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი გაივლის ატესტაციას;
II. უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და მეცნიერ-თანამშრომელი კი კონკურსს;

39. ატესტაციასა და კონკურსში მონაწილეობა პირს შეუძლია დადგენილი ზღვრული ასაკის მიღწევამდე, რომელიც შეადგენს - მთავარი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მსურველთათვის 71 წელს; ხოლო მეცნიერ-თანამშრომლისათვის 66 წელს.

თავი VI: გასაჩივრების პროცედურა

40. კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში.
41. აკადემიური საბჭო, რექტორის ბრძანების მეშვეობით, ქმნის 3 წევრიან სააპელაციო კომისიას.
- 41.1. სააპელაციო კომისიის ერთი წევრი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, ხოლო, ორი (მათ შორის კომისიის თავმჯდომარე), მოწვეული პირი, რომელთაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი. ხოლო, მდივანი შესაძლებელია ადგილობრივი თანამშრომელი იყოს.
- 41.2. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება უბრალო უმრავლესობა (2). გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით.
- 41.3. კომისია წერილობით, არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
42. სააპელაციო კომისიის საბოლოო დასკვნის შემდეგ, კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6.

თავი VII: დამატებითი პირობა:

43. ზემოაღნიშნულ შეფასების კრიტერიუმებს (ქულობრივი შეფასება), ზოგიერთი მიმართულების სპეციფიკიდან (საშემსრულებლო) გამომდინარე, ემატება ის კრიტერიუმები (შესაბამისად, ქულობრივი შეფასება), რომლებსაც ითვალისწინებს არათეორიულ სპეციალობებზე (დრამა, კინო, ლოტბარი) აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი.